ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისია

ოქმი:**ო47. 47230522**

თარიღი:**21/02/2023**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N2

დ. ჩოხატაური

10 თებერვალი, 2023 წელი

თავმჯდომარეობდა: მარინე ბერაძე.

ესწრებოდნენ: მაია გიორგაძე, დავით ტყეშელიაძე, დავით გუდავაძე, ჯუმბერ ბერძენიშვილი, ბაჩო ახალაძე.

არ ესწრებოდა: ლაშა ირემაძე, მიხეილ თავართქილაძე, ნოდარ ცხომელიძე, ბაია ძნელაძე, მარინე თავაძე.

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრის, კახაბერ სიხარულიძის ინიციატივის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვა: მარინე ბერაძემ, დავით ტყეშელიაძემ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მოძხრე _ 6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრის, კახაბერ სიხარულიძის ინიციატივის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ,რომელმაც განუმარტა კომისიას, რომ საკრებულოს მომართა ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ახალშენის მოსახლეობამ და ითხოვა დუმბაძისა და გურამიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, სოფ. გუთურის მიმართულებით არსებული შიდა სარგებლობის ხიდისთვის, 9 აპრილს დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით, ხიდისთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახაბერ სიხარულიძემ წარმოადგინა ინიციატივა, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ. პროცედურების თანახმად, საჭიროა საკადასტრო აზომვითი ნახაზის და ორთოფოტოს დამზადება. ჩვენი კომისიის სახელით მომზადდება წერილის პროექტი ნახაზის დამზადებასთან დაკავშირებით და გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _6

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 6 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა გეოგრაფიული ობიექტის სახელდებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრის, კახაბერ სიხარულიძის ინიციატივა და გადაწყვიტა, კომისიამ მოამზადოს წერილი პროექტის ნახაზის დამზადებასთან დაკავშირებით და გადაუგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მარინე ბერაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი